ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

დანართი №5

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილიაგანახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ფრიდონ გოგიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მარინა გოგოლაძე

II. დაწესებულების მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

,,უნივერსიტეტი აღიარებს რა ბოლონიის პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებს, თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი სასწავლო და საგანმანათლებლო სტანდარტები. ამ სტანდარტებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს განახორციელოს განათლების სივრცეში ქვეყნის და საერთაშორისო განვითარების თანადროული და საზოგადოების მოთხოვნაზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც გამოიხატება კვალიფიციური კადრების მომზადებაში, საავიაციო დარგის საფრენოსნო, საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე".

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციისთვის წარმოდეგნილი პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2"მეხუთე საფეხური B1 - 127,5; B2 - 121.5 კრედიტი და ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H" მეხუთე საფეხური 59 კრედიტი,დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 22 მაისის ბრძანებით N06/28. დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილპროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო, სასწავლო გეგმა, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებზე(სია), სწავლების ენა (უცხოური ენა - ინგლისური) და ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პრაქტიკის ობიექტების, კერძოდ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მდებარე ანგარის დათვალიერებით დადგინდა, რომ ობიექტებზე შპს „ავიატორი+"-ის და შპს „საჰაერო ნავიგაცია", შექმნილია ყველა პირობა საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების დასადასტურებლად. მემორანდუმი დადებულია შპს „ავიატორი+"-თან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შპს „საქაერონავიგაცია"-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2017 წლის 10 ივლისს და ძალაშია 5 წლის განმავლობაში. მემორანდუმი დადებულია ასევე, შპს ავიაკომპანიასთან ,,თუშეთი"- (2 მემორანდუმი). პროგრამების დამატებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ერთდროულად შესაძლებელია 20 სტუდენტის განთავსება. ვიზიტის დროს სტუდენტებთან არ შემდგარა ინტერვიურება, რადგან დაწესებულება პროფესიული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით ავტორიზაციის მოლოდინის რეჟიმშია.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტის დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ პრაქტიკის ობიექტ „ბოინგ 737-200" სრულად გამართულ მდგომარეობაშია, ხოლო ანგარის სარემონტო სამუშაოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

გათვალისწინებულია მილენიუმის პროგრამით. თვითმფრინავზე გაკეთებულია წარწერა - ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის".

1.1 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (N06/28; 22.05.2017 წელი);
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ✓ პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ✓ დაწესებულების ვებ-გვერდითwww.ssu.edu.ge
- ✓ ხელშეკრულებებით, მემორანდუმებით.

1.2დაწესებულებაშიარსებობსსაგანმანათლებლოპროგრამებისაღწერილობა(კატალოგი),სადაცმოცემულიაინფორმაციადაწესებულების,მისანიჭებელიკვალიფიკაციების,შესაბამისისაგანმანათლებლოპროგრამებისმიზნების,სწავლისშედეგების,კრედიტებისადაშეფასებისწესისშესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.ssu.edu.ge; ვებ-გვერდზე განთავსებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში განსაზღვრულია პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები,შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროფესიული სტუდენტის შეფასება, საკონტაქტო პირი. ანონსის სახით ვებგვერდზე მითითებუილი იყო, რომ დაწესებულება პროგრამებს განახორციელებდა 2017 წლის ოქტომბრიდან. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდზე შეეტანა შესწორება იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებდა ავტორიზაციის მიღების შემდეგ, რაც გასწორებულ იქნა ვიზიტის პერიოდში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

1.2 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- ✓ ვებ-გვერდით www.ssu.edu.ge

1.3პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს. დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილლებების შეტანისა და დამტკიცების პროცედურა.

1.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისადა შეწყვეტის, მობილობის (მუხლი მე-9; მე-10; მე-11; მე-12), ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები განსაზღვრულია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია (18.07.2017 წელი, ბრძანება №06/39) პროცედურების დაცვით და განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზეwww.ssu.edu.ge.

1.4 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, დამტკიცებულიშპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის18 ივლისის №06/39 ბრძანებით;
- ✓ ვებგვერდით www.ssu.edu.ge

1.5დაწესებულებასშემუშავებულიაქვსსაგანმანათლებლოპროგრამისშეცვლისანგაუქმებისშემთხვევაშიშ ესაბამისიპროგრამისსტუდენტებისშემდგომიგანათლებითუზრუნველყოფისმექანიზმები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში (მუხლი მე-6). პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ჩანაწერის მიხედვით (მუხლი მე-6, პუნქტი მე-8), ,,თუ იგივე პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებაში უნივერსიტეტი ვალდებულია არსებულ პროფესიულ სტუდენტებს პროგრამა დაასრულებინოს მილევად რეჟიმში".

დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული არ აქვს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რადგან დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით, მსგავსი ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოში არ ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

1.5 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, დამტკიცებულიშპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის18 ივლისს №06/39 ბრძანებით;
- ✓ ვებგვერდით www.ssu.edu.ge

1.6
დაწესებულებასშემუშავებულიაქვსსაგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისშეფასებისსისტემა,რომ ლისშედეგებსაციყენებსსასწავლოპროცესისხარისხისგასაუმჯობესებლად

შეფასება:
შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანებით (N14;18.07. 2017 წელი)დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შემუშავებულია სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) და ხარისხის შემოწმების ფორმები. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად: უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც გულისხმობს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. აღნიშნულის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს შემდეგისქემით: ა)პირველეტაპზე (დაგეგმე) - უნივერსიტეტი (ხარისხისუზრუნველყოფის სამსახური) გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს საქმიანობის ასპექტებს, შეიმუშავებს კითხვარებს ფაკულტეტების ჩართულობით, გეგმავს სხვა აქტივობებს (ადგენსე.წ. სამოქმედო გეგმა-გრაფიკს); ბ) მეორე და მესამე ეტაპეზე (განახორციელე/შეამოწმე) - უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) იწყებს შეფასებას წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით, აწარმოებს გამოკითხვებს, სასწავლო პროცესის მონიტორინგს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გამოავლენს სასწავლო პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს, უფლება მოსილია აღნიშნულ პროცესში ჩართოს დაინტერესებული პირები; გ) მეოთხე ეტაპზე (განავითარე) - უნივერსიტეტი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) აჯამებს კვლევის შედეგებს, განსაზღვრავს პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პრობლემების გადასაჭრელად. რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

პროგრამის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება

1. პროგრამის განმახორციელებელი პირისსაქმიანობის შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული მექანიზმებით:
   - ✓ მეცადინეობებზე, საწარმოოპრაქტიკის და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრებით;
   - ✓ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა შემუშავებული ანკეტის მეშვეობით.
2. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ მოდულის/სასწავლო კურსის შეფასება;
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი პირის შეფასება;
- ✓ სასწავლო მასალის შეფასება.

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედგენილი კითხვარების მეშვეობით. თითოეულიმოდულის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ შესავსები ფორმები, რომელთაანონიმურობა დაცულია".

<u>1.6. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- ✓ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (ბრძანება N06/26-1; 14.06.2016 წელი);

1. <u>**სტანდარტი- საგანმანათლებლო პროგრამები - დაკმაყოფილებულია**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

2. მატერიალური რესურსი

2.1. დაწესებულებასსაკუთრებაშიანმფლობელობაშიაქვს მატერიალურირესურსი, რომელიცგამოიყენებადაწესებულებისმიზნებისრეალიზაციისათვის დაშეესაბამებასაგანმანათლებლოპროგრამას, მათშორის:

ა)ერთმისამართზეშენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისამართია ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის №16;

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის №16;	8735.36 კვ.მ

დასტურდება:

- ✓ ფართის ფლობის შესახებ დოკუმენტებით;
- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

ბ)სათანადოინვენტარით აღჭურვილი სასწავლოფართი;

შეფასება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კორპუსი №1 3723,36კვ.მ; 2 სართულიანია და კორპუსი №2 5012 კვ.მ 6 სართულიანი. სასწავლო ფართი აღჭურვილია ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის სათანადო ინვენტარით.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინვენტარი, კერძოდ, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის სკამებით, მაგიდებით და მერხებით. ამასთან, უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

კაბინეტ-ლაბორატორიები, ასევე პროექტორებით (31 ცალი) აღჭურვილი აუდიტორიები; კომპანია „Softeksim"-ის მიერ წარმოებული FNPT II+MCC ტიპის კომბინირებული ავიასიმულატორი, რომელიც აღჭურვილია Cessna-152; PA-34III და Beechcraft King Air C90 ტიპის საჰაერო ხომალდების ფრენის პროგრამული უზრუნველყოფით.

უნივერსიტეტი ფლობს თვითმფრინავ-ლაბორატორიას (Boeing 737-200), რომელიც, განთავსებულია თბილისის საერთაშრისო აეროპორტში მდებარე ანგარში და აღჭურვილია თანამედროვე სისტემების, მათ შორის ელექტრონული, სრული კომპლექტით.

უნივერსიტეტს გააჩნია ორი კომპიუტერული კლასი, რომლებიც აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. გარდა აღნიშნულისა უნივერსიტეტი ფლობს აეროპორტ „მიმინო"-ს (თელავი, სოფ. კურდღელაური), რომელიც აღჭურვილია სასწავლო თვითმფრინავების ექსპლუატაციისათვის საჭირო ინვენტარით, ასაფრენ-დასაფრენი ზოლით (1700*35 = 59500 კვ.მ.). აღნიშნული ბაზა ინვენტარით უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილად შესრულებას. დაწესებულებას აქვს მინიმალური სასწავლო რესურსები, თუმცა საწაფი სასწავლო რესურსი შეძენილი იქნება მილენიუმის პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 30 სექტემბრისათვის.

უნივერსიტეტს აქვს სპეციალური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ:

- ✓ აეროდინამიკის და ფრენის დინამიკის ლაბორატორია;
- ✓ ავიონიკის ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების რადიოსანავიგაციო სისტემების ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების რადიოკავშირისა და რადიოლოკაციის ლაბორატორია;
- ✓ ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების ლაბორატორია;
- ✓ საჰაერო ხომალდების ელექტრული მანქანებისა და აპარატების ლაბორატორია;
- ✓ საავიაციო ხელსაწყოების ლაბორატორია;
- ✓ ელექტრორადიო სამონტაჟო სახელოსნო;
- ✓ კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების ლაბორატორია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

- ✓ საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საწაფზე სავარჯიშო ოთახი;
- ✓ ლინგაფონის კაბინეტი;
- ✓ საავიაციო ძრავების ლაბორატორია;
- ✓ ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია №1;
- ✓ ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია №2.

პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია 79 კომპიუტერი. სასწავლო გარემოს აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობები და ინვენტარი განთავსებულია არა ერთ რომელიმე კონკრეტულ აუდიტორიაში, არამედ რამდენიმე ლოკაციაზე, კერძოდ პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო აღჭურვილობა განთავსებულია ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის №16 მეორე კორპუსში და არა პრაქტიკული სწავლების სივრცეში.დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციაშესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო.

<u>2.1 . ქვესტანდარტიდაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ინვენტარის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულება ფართის დროებით სასყიდლიან სარგებლობის (იჯარით)შესახებ;
- ✓ შესყიდვის ხელშეკრულებებით;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტებით.

2.2

დაწესებულებაშიარისსაგანმანათლებლოპროცესისწარმართვისთვისაუცილებელიგარემო:ელექტროენერგიისმიწოდებისუწყვეტისისტემა,სველიწერტილები,ბუნებრივიგანათებისშესაძლებლობადაგათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

შეფასება:

უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო. დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით. გამოყენება ელექტროენერგიის ორი წყარო, ძირითადი და ალტერნატიული. თითოეულ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები და სანიტარული კვანძებიცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის, დაცულია სისუფთავე და ჰიგიენის ნორმები. ყველა აუდიტორიაში/ოთახი არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, დადგმულია ზამთარისა და ზაფხულის რეჟიმის კონდინციონერები.

2.1ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ✓ ვიზუალური დათალიერებით;
- ✓ გადახდის ქვითრებით.

2.2. დაწესებულებისბიბლიოთეკისფონდი(როგორცბეჭდური,ისეელექტრონულმატარებლებზე არსებული)შეესაბამებასაგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოკურსებისპროგრამებში(სილ აბუსებში)მითითებულლიტერატურას

შეფასება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის №1 სასწავლო კორპუსში, სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით,ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია შეუზღუდავად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 7 კომპიუტერი, 1 ქსეროქსი/კომბაინი მ.შ. 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის და 5 სტუდენტებისათვის.ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები.განსაზღვრულია სამუშაო საათები - ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა 9-დან 21- საათამდე. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2" და ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H", ზოგადი და სავალდებულო მოდულებიდან შერჩევითად, კერძოდ:,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H" პროგრამიდან,,მეწარმეობა", ,,საჰაერო კანონმდებლობა", ,,მეტეოროლოგია", ,,რადიო ნავიგაცია", ხოლო პროგრამიდან ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2", გადამოწმებულ იქნა ,,საავიაციო კანონმდებლობა", ,,აირტურბინული ძრავები", ,,ელექტრონიკის საფუძვლები B2" ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი/სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, ელექტრონული რესურსი თავმოყრილია CD დისკებზე და ბიბლიოთეკის კომპიუტერშია განთავსებული. ბეჭდური სახელმძღვანელოები გატარებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო წიგნში არსებული საბიბლოთეკო წესების დაცვით.

დაწესებულებას შეძენილი აქვს **OPEN BIBLIOS**პროგრამა, რაც საკმაოდ უმარტივებს სტუდენტებსა და მასწავლებლებს გამოსაყენებელი ლიტერატურით სარგებლობას.რეგისტრირებულ სტუდენტს შესაბამისი თეორიულ მასალისათვის საჭირო ყველა ლიტერატურაზე აქვს წვდომა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება ხდება პერიოდულად, საჭიროებებიდან გამომდინარე.ბიბლიოთეკის მუშაობას არეგულირებს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ,,ბიბლიოთეკის დებულება" და ბიბლოთეკაში ქცევის წესები, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში.

დაწესებულების საშტატო განრიგით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის გამგის 1 და ბიბლიოთეკარის 2 საშტატო ერთეული. ბიბლიოთეკარისმოვალეობებიგანსაზღვრულიარექტორის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით.ბიბლიოთეკის გამგეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გავლილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები.

2.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით;
- CD დისკებზე ჩატვირთული ელექტრონული რესურსებით;
- წიგნადი ფონდის საინვენტარიზაცი წიგნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

- OPEN BIBLIOSპროგრამით;
- მოდულებით;
- ჩუქების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკარის სერთიფიკატით;
- შპსსაქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ,,ბიბლიოთეკის დებულებით", ,,ბიბლიოთეკის ქცევის წესებით".

2.4საინფორმაციო-
საკომუნიკაციოტექნოლოგიებიგამოიყენებასაგანმანათლებლოსაქმიანობაში,ასევედაწესებულებისმართ ვაში

შეფასება:
დაწესებულებააღჭურვილიასაგანმანათლებლოპროგრამებისშესაბამისისათანადოპარამეტრებისმქონეკომპ იუტერებით.უნივერსიტეტს აქვს 31 პროექტორი, მ.შ. 1 პროექტორი განთავსებულია საკონფერენციო დარბაზში, 14 პრინტერი, 14 კომბაინი და 2 ფაქსი, 109 კომპიუტერი, მათ შორის 68 ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, დანარჩენი კომპიუტერები კი გამოიყენება დაწესებულების მართვაში. დაწესებულების ორივე კორპუსში ინტერნეტი თავისუფალი წვდომის რეჟიმშია.

2.4. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- შესყიდვის ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

2.5 დაწესებულებაშიმიმდინარეობსგამოცემულიაქტებისადაკორესპონდენციისაღრიცხვა

შეფასება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, საავიაციო სტანდარტებისა და მოთხოვნების ცვლილებების გამო, დოკუმენტაცია ექვემდებარება პერიოდულ განახლებას. შესაბამისად დაწესებულების ყველა დოკუმენტს ახლავს ფორმატი ამოღებული გვერდი, დამატებული გვერდი თარიღისა და თავის მისათითებელი გრაფებით, ცვლილებების ისტორიის ფორმატში მითითებულია ცვლილების ნომერი, საფუძველი შეცვლილი გვერდები, თარიღი და ცვლილების ინიციატორი, მოქმედი გვერდების სია ითვალისწინებს დოკუმენტის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით კონკრეტულად რომელი გვერდის ცვლილება მოხდა. ნებისმიერ შეტანილ ცვლილებას ამტკიცებს რექტორი, რომელიც ეგზავნება ყველა მფლობელს და მიღებას ადასტურებს ხელმოწერით. ეს პროცედურა დაწესებულების თანამშრომლებს აძლევს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,საქმისწარმოების წესი", გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ძირითადად მიმდინარეობს უნივერსიტეტის "საქმისწარმოების წესის" შესაბამისად, აღნიშნული წესი განსაზღვრავს შემოსული, გასული და შიდა ბრუნვის დოკუმენტაციის აღრიცხვიანობისა და დაარქივების პროცედურებს, დოკუმენტაციის შენახვის ვადებს. დაწესებულების აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც მითითებულია დაწესებულების დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და დაწესებულების ლოგო/სახე.დოკუმენტაციების აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ბეჭედდასმულია, სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია. საქმისწარმოებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით დანიშნული კანცელარიის გამგე. დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებებიდაყოფილია უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურების ინდექსების მიხედვით, გამოცემის თარიღის გათვალისწინებით, (მაგალითად, მივლინების - №03/38, სტუდენტთას ჩარიცხვის/მობილობის - №06/38 და სხვა)თუმცა დაყოფა უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურების მიხედვით ინდექსები,,საქმისწარმოების წესში" განსაზღვრული არ არის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

,,საქმისწარმოების წესი" მოიყვანოს შესაბამისობაში ფაქტიურად წარმოებულ უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივ ნომენკლატურასთან და საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცება უზრუნველყოს ყოველ წელს, ცვლილებების მიუხედავად. დაწესებულების კანცელარიში გამოიყენება მრგვალი ბეჭედი სხვადასხვა დოკუმენტების დასამოწმებლად/დასამტკიცებლად.

2.5. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მრექტორის მიერ გამოცემული ბრძანებეით.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთაუსაფრთხოებადაჯანმრთელობა, რისთვისაცარსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგოუსაფრთხოებისუზრუნველყოფისმექანიზმებიდახანძარსაწინააღმდეგოინვენტარი;

ბ)თვალსაჩინოადგილასგამოკრულიევაკუაციისგეგმა;

გ)სამედიცინოდახმარებისაღმოჩენისმექანიზმები;

დ)წესრიგისდაცვისუზრუნველყოფისმექანიზმები.

შეფასება:

დაწესებულების შენობისყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, სპეციალურ უწყებასთან, საქართველოს საგანგებო სამსახურთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი დამუხტულ მდგომარეობაში, რომელზეც მითითებულია დამუხტვის ვადები. დაწესებულებაში ევაკუაციის პროცედურასთან დაკავშირებით შექმნილია პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი, რომელთა ვალდებულებები გაწერილია დაცვის სამსახურის დებულებაში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექიმი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებასიცავს უსაფრთხოების დაცვის სამსახური. შესაბამისად, დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთაუსაფრთხოებადაჯანმრთელობა.

2.6 ქვესტანდარტიდაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ინვენტარით/აღჭურვილობით;
- საევაკუაციო გეგმით, დაცვის სამსახურის დებულებით;
- ბრძანებებით;
- შრომითი ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 **დაწესებულებას აქვსადაპტირებულიგარემოსპეციალურისაგანმანათლებლოსაჭიროებებისმქონეპროფესიული სტუდენტებისათვის**

შეფასება:

დაწესებულების ორივე კორპუსის პირველი სართულები სრულად არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემოთი, სსსმ პირებს აქვთსასწავლო აუდიტორიებთან ბიბლიოთეკასთან, კომპიუტერულ ლაბორატორიასთან, პრაქტიკის სახელოსნოებთან და სველ წერტილებთან წვდომის შესაძლებლობა. დამონტაჟებულია პანდუსი, თუმცა პროგრამაზე მიღების წინა პირობებიდან გამომდინარე(საჭირო არის ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი) წარმოდგენილ პროგრამებზე ასეთი პირების მიღება შეზღუდულია.

2.7ქვესტანდარტიდაკმაყოფილებულია

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

2.8 ვებგვერდი ასრულებსსაკომუნიკაციოდასაინფორმაციოფუნქციას,მასზეგანთავსებულიასაკონტაქტოდაასევესტანდარტებთანდაკავშირებულისხვაინფორმაცია(დაწესებულებისსტრუქტურა,საგანმანათლებლოპროგრამები,პერსონალიდა სხვ.). ინფორმაციისგანახლებახდებარეგულარულად,ისე,რომდაცულიიყოსინფორმაციისგონივრულვადაშიმიღებისნტერესი

შეფასება:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შპს „პროსერვისთან" 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ფლობს ინტერნეტ სივრცეს, ვებგვერდი www.ssu.edu.ge. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების შესახებ, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების ორგანოგრამა/სტრუქტურა, კალენდარი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სიახლეები, პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით შემუშავებული რეგულაციები (მაგ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი), პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისა და სხვა სახის აქტუალური ინფორმაცია, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას. ვებგვერდი ექსპერტთა ვიზიტის დროს მუშაობდა სატესტო რეჟიმში. ვებგვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იძებნება ადმინისტრაციის ქუდის ქვეშ, სადაც მითითებული არ იყო ინფორმაცია ხელმძღვანელზე და გასწორდა ვიზიტის დროს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდზე ცალკე გამოიყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რადგან იქ თავმოყრილია მოცულობითი ინფორმაცია.

2.8. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

- დაწესებულების ვებ-გვერდითwww.ssu.edu.ge
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულებით.

2.9 შემუშავებულია დაწესებულებისგანვითარებისგრძელვადიანი(ექვსწლიანი)დაერთწლიანისამოქმედოგეგმები,გამომდინარედაწესებულებისმისიიდან,რაცასევეითვალისწინებსმატერიალურირესურსებისეფექტურადგამოყენებისადაგაუმჯობესებისმექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, მისიასთან თავსებადია ექვსწლიანი (2017-2023 წწ.) სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (შედგენილია 2017 წლის მეოთხე კვარტალი - 2018 წლის მეოთხე კვარტალი პერიოდით, 2017 წლის 18 ივლისს). დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

შესავალ ნაწილში ანოტაციის სახით აღწერილია სტრატეგიული გეგმის შემუშავება-დანერგვის მიზანი და განვითარების შესაძლებლობები, დაწესებულების ისტორია, პროგრამები, მისია, ძლიერი და სუსტი მხარეები SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, მიღწევის გზები, ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგი. გაწერილი ვადების მიხედვით, რომელსაც ახლავს მიმდინარე შესასრულებელი აქტივობები ვადებში გაწერილი, ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება არ არის გათვალისწინებული, თუმცა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არის დაფიქსირებული.

2.9. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში გაითვალისწინოს დამატების სახით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების/პოზიციების შესახებ ჩანაწერი შპს საქართველოს უნივერსიტეტის სტრუქტურის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

დასტურდება:

- ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმით;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;

<u>2.სტანდარტი - მატერიალური რესურსი -დაკმაყოფილებულია</u>

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიმართ საქართველოს კანონით ,,პროფესიული განათლების შესახებ" (მუხლი 12[1]; პროფესიული განათლების მასწავლებელი) განსაზღვრული მოთხოვნების პარალელურად, დამატებით, საავიაციო სფეროში საერთაშორისო სტანდარტითდადგენილია შესაბამისი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მასწავლებლობის უფლებას და რომელსაც გასცემს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო(სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №221 24.11.2013წ.). შესაბამისად აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელიპირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2" მეხუთე საფეხური და ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H" მეხუთე საფეხური, ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 14 პროფესიულის მასწავლებელი, ადმინისტრაციის 11 თანამშრომელი.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2" მეხუთე საფეხური და ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H" მეხუთე საფეხური,

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

წარმოდგენილ ელექტრონულ და ვიზიტის პირველ დღეს წარმოდგენილ დოკუმენტურ ვერსიებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებში მითითებულ პროფესიულ მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო მასწავლებლობის მოწმობები პროგრამის შესაბამისი მოდულების მიხედვით, რომელიც გაცემულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, მოწმობებში მითითებულია მასწავლებლის სახელი და გვარი და ჩანაწერის მიხედვით იგი ,,აკმაყოფილებს ავიასპეციალისტების სერთიფიცირების წესებით საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების მასწავლებლობის მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნებს". მოწმობები გაცემულია 2017 წელს და განსაზღვრულია მოქმედების ვადები 2019-2020წლამდე. თუმცა აღნიშნული მოწმობებით, ადამიანურ რესურსებში მითთებული მოდულების მიხედვით მასწავლებლობის მოწმობებით უფლება არ უდასტურდებოდა რამდენიმე მასწავლებელს, საავიაციო კანონმდებლობის", ,,საჰაერო ხრახნი", ,,ელექტრონიკის საფუძვლები", საკონსტრუქციო მასალები დანაკეთობები", ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამებში ადამიანური რესურსი შევსების დროს არ იყო მზად მოწმობები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ და მოდულების განმახორციელებელ პირთა შეტანა მოხდა ერთიანად/სტიქიურად. თუმცა პირად საქმეებში არსებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით/დიპლომით, პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებები მოდულების შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსი(ბრძანება №06/43 22.08.2017წ.).

დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

<u>3.1. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებებით (№06/43 22.08.2017წ.)
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოწმობებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

- სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №221 24.11.2013წ. (მუხლი 9 პ. 5)
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2" მეხუთე საფეხური და ,,საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H" მეხუთე საფეხური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციისმქონე პროგრამის განმახორციელებელი 14 (თოთხმეტი) პირი/პროფესიული განათლების

3.2 ქვესტანდარტის შესაბამისად, დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

<u>3.2. ქვესტანდარტიდაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით.

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი დაწესებულება, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ,,საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება B1, B2"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

მეხუთე საფეხური და „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლოატაცია CPL-H“ მეხუთე საფეხური, დამატების შემთხვევაში, ორ ცვლაში გეგმავს 22 სტუდენტის მიღებას.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამები, ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 100 სტუდენტით. დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობით მიმართა (№547/17; 26.07.2017) და მოითხოვა ავტორიზაციის გადაწყვეტილებით (№25; 01.09.2015 წელი) განსაზღვრული რაოდენობის - 1600 სტუდენტი მ. შ 100 პროფესიული სტუდენტის 150 პროფესიული სტუდენტით გაზრდა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

<u>3.3. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- პროგრამის განმახორციელებელ პირთა/პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წერილით (№547/17; 26.07.2017).

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, დაწესებულების რექტორის ბრძანებით(შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“-ს დებულება 17.07.2017წ. მუხლი 24) დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის საკონკურსო წესი. შერჩევის შემდეგ ხდება ხელშეკრულების დადება ერთი წლის ვადით. დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის განმახორციელებლ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებულია შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით

ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და მოიცავს ყველა რეკვიზიტს.

<u>3.4. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის საკონკურსო წესით;
- საკონკურსო კომისიის ოქმებით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

<u>სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსები - დაკმაყოფილებულია</u>

IV. **თანდართული დოკუმენტაცია**

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საქმის წარმოების წესი - 13 ფ.
2. წერილი საწვრთნელი მოწყობილობის შესყიდვის შესახებ - 1ფ.
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოქმი - 1 ფ
4. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული მასწავლებლობის მოწმობები - 8 ფ.
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბრძანება №06/43; 22.08.2017წ. – 3 ფ.

სულ ფურცელთა რაოდენობა - 26 ფურცელი.

ქ. თბილისი 29.08.2017წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.